

**„პატარა გოგონებო, გთხოვთ მოუსმინოთ...“ მრავალხმიანი სიმღერა,
როგორც ანთისაომარი მოწოდება, ომის პერიოდის იტალიური
წინააღმდეგობის მოძრაობის სიმღერების მაგალითზე**

1960-იან წლებში, იტალიური ხალხური მუსიკის აღორძინების დროიდან, მის მიმართ აკადემიური ინტერესი ხშირად ფოკუსირდებოდა იტალიის საპროტესტო, წინააღმდეგობისა და პარტიზანულ სიმღერებზე. ამ ინტერესის გამო, ომის თემებმა შეინარჩუნა უპირატესობა, ტრადიციული მუსიკის კომერციულ, ექსპორტირებულ ფორმებთან შედარებით (როგორცაა, მაგ.: ნეაპოლური სიმღერები). ამის მიზეზი იყო ის, რომ იტალიური წინააღმდეგობის სიმღერებში შენარჩუნებული იყო ისტორიულ კავშირი ანთისაომარ და ანტიფაშისტურ განწყობასთან (Fanelli, 2015). პოლიფონიური სივრცე, რომელიც თავისი ბუნებით მრავალხმიანია, ასაზრდოებს კოლექტიურობას, რაც კარგად ესადაგება წინააღმდეგობის მოძრაობის პარტიზანულ შეკრებებს.

მაშასადამე, პირობებმა, რომლებმაც გამოიწვია მომღერლების ეს შეკრებები იტალიაში მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში და განსაკუთრებით ომის დროს, შექმნა სივრცე, რომელიც განასახიერებდა პოლიფონიური სიმღერით გადმოცემულ, ინკლუზიურ, კოლექტიურ დაუმორჩილებლობას.

პროტესტის ეს სულისკვეთება, შესაძლოა, იყოს ის სულიერი ლაიტმოტივი, რომელიც აერთიანებს კონკრეტული სოციალური ფენის ხალხთა ბრძოლასა და ტანჯვაზე დაფუძნებულ რეპერტუარებს. მაგალითად, მოხსენებაში ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ შეიძლება ქალთა რეპერტუარის სიმღერებმა გამოხატონ მათი შემსრულებლების სწრაფვა ფემინისტური თვითგამორკვევისთვის ბრძოლისაკენ. ნაშრომში კონკრეტულად განხილულია ის, თუ როგორ ყალიბდებოდა ეს სულისკვეთება ომის შემდგომ იტალიაში, ტრავმით გამოწვეული ანთისაომარი განწყობით.

ნაშრომში ვიკვლევ, თუ როგორ გახდა იტალიური პოლიფონიური სიმღერა კატალიზატორი ანთისაომარი სენტიმენტების არამატერიალური გარემოს შესაქმნელად. ადრეული იტალიური ეთნომუსიკოლოგიის პოლიტიკურმა ორიენტაციამ გააძლიერა ტრადიციული მუსიკის პარტიზანული სულისკვეთება იტალიაში ფოლკლორის აღორძინების შემდეგ. ამას შევადარებ ჩემი საკუთარი ეთნოგრაფიული კვლევის ფარგლებში შესწავლილ ერთ კონკრეტულ შემთხვევას, სადაც გაანალიზებული მაქვს სამხრეთ იტალიაში სალენტოს რეგიონის სიმღერები და ის, თუ რა მიმართულებას აძლევენ ეს სიმღერები პარტიზანულ სულისკვეთებას.

ახალი იტალიური სიმღერების კრებული, ბელა-ჩაო და le mondine-ს ფემინისტურ-სოციალისტური ხმა

წინააღმდეგობის სულისკვეთება, რომელიც განსახიერებელია იტალიურ პარტიზანულ და საპროტესტო სიმღერებში, იყო იტალიური ხალხური მუსიკის ერთგვარი ავტარი მე-20 საუკუნის ომის შემდგომ პერიოდში. იტალიური ტრადიციული მუსიკის შესრულებაზე ორიენტირებული ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და გავლენიანი მუსიკალური ჯგუფი იყო Il Nuovo Canzoniere Italiano („ახალი იტალიური სასიმღერო“), იტალიური ეთნომუსიკოლოგიის პიონერების, რობერტო ლეიდიასა და ჯანი ბოზიოს მიერ მილანში დაფუძნებული ეთნომუსიკოლოგიური ორიენტაციის მქონე პროექტი (ბერმანი, 1997; სავინი, 2019). თავდაპირველად, პროექტი წარმოადგენდა პერიოდულ ჟურნალს, საკუთარი ხალხური სასიმღერო ტრადიციით დაინტერესებული, მზარდი

იტალიური აუდიტორიისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოზიოს ჰქონდა ძლიერი კავშირები იტალიის სოციალისტურ პარტიასთან; იყო რა გამომცემლობის დირექტორი, ბეჭდავდა მათ პერიოდულ გამოცემებს. ასევე, იყო ამ პარტიის სტაჟიანი წევრი და აქტიური ანტიფაშისტი (ბერმანი, 1997). სწორედ ამ გამომცემლობამ დაბეჭდა აღნიშნული ჟურნალი, რაც მიუთითებს პოლიტიკურ გარემოზე, რომელშიც ეს მუსიკა ვრცელდებოდა. ამგვარად, ბოზიოს პოლიტიკური ორიენტაცია და მის მიერ იტალიური ეთნომუსიკოლოგიის ჩამოყალიბება მჭიდროდ უკავშირდებოდა იტალიურ ტრადიციებსა და ფოლკლორს, რის გამოც მკვლევრებისა და შემსრულებლების სამეცნიერო ინტერესის საგანი გახდა. შესაბამისად, ჩვენ თვალს ვადევნებთ იტალიური ეთნომუსიკოლოგიის დღევანდელ პოლიტიკურ მემკვიდრეობას¹.

ჟურნალმა *Nuovo Canzoniere* დასაბამი მისცა იტალიური მუსიკით გატაცებულ და მისი მეცნიერული შესწავლის მსურველ იტალიელ ეთნომუსიკოლოგთა საზოგადოებას, რომელსაც, ძირითადად, იტალიური ხალხური სიმღერის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი აინტერესებდა. ამის კულმინაცია გახდა საშემსრულებლო ჯგუფი, რომელმაც თეატრალურ სპექტაკლში პოლიტიზებული იტალიური ხალხური სიმღერა გამოიყენა, როგორც თემატური პერსონაჟი – ომის შემდგომი იტალიის მთავარი გმირი – რევოლუციის, პარტიზანული და სოციალური წინააღმდეგობის მთავარი ფიგურა (ბერმანი, 1997; ფანელი, 2015).

ეს, ანტისაომარი განწყობის მქონე, ცნობილი ჰიმნი, *Nuovo Canzoniere*-ს რეპერტუარიდან არის რევოლუციური სულისკვეთების გამოხატველი „*Bella, Ciao!*“ („ლამაზო, ნახვამდის!“), რომელიც გახდა *Nuovo Canzoniere*-ს სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი.

დროთა განმავლობაში სიმღერის პოპულარობა იტალიის ფარგლებს გასცდა და გადაიქცა თავისუფლების ანტიფაშისტურ ჰიმნად:

Stamattina, mi son alzato – bella ciao! E l'ho trovato l'invasor
 O partigiano, portami via – bella ciao! Che mi sento di morir
 E se muoio da partigiano, bella ciao! Tu mi devi seppellir
 E seppellire lassù in montagna – bella ciao! Sotto l'ombra di un bel fior
 Tutte le genti che passeranno o – bella ciao! Mi diranno “che bel fior!”
 Questo e' il fiore del partigiano – bella ciao! Ch'e' morto per la liberta'.²

თუმცა, ყველამ არ იცის, რომ „*Bella Ciao*“-ს, როგორც ნამდვილი ანტიფაშისტური ჰიმნის შესახებ, ცნობები ძალიან მწირია. სინამდვილეში, ამ სიმღერამ სიმბოლური დატვირთვა მას შემდეგ შეიძინა, რაც *Il Nuovo Canzoniere Italiano*-მ იმღერა ფესტივალზე *Dei Due Mondi*³ („ორი სამყაროდან“), 1964 წელს (Bobba, 2021). სიმღერის ეს ცნობილი პარტიზანული ვერსია, ფაქტობრივად, შეიქმნა, როგორც *le mondine*-ს პოლიფონიური რეპერტუარის ერთ-ერთ ხალხურ სიმღერაზე⁴ დაფუძნებული, პოლიტიკურად პერფორმირებული ვარიანტი. *mondina*-ს (*le mondine* – მრავლობითი

¹ მაგალითად, იტალიის ერთ-ერთი მთავარი ფოლკლორული კულტურული ინსტიტუტი, L' Estituto Ernesto de Martino, რომელიც დააფუძნა ჯანი ბოსიომ ფლორენციაში, დღემდე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს წინააღმდეგობის, პროლეტარიზმისა და ანტიფაშისტური თემებს ხალხურ მუსიკაში.

² თარგმანი: „დღეს დილით ავდექი და აღმოვაჩინე დამპყრობელი, ო, პარტიზანო, წამიყვანე აქედან, ვგრძნობ, რომ ვკვდები და თუ პარტიზანად მოვკვდები, შენ უნდა დამმარხო და დამასამარო იქ მოებში, ლამაზი ყვავილის ჩრდილქვეშ, ყველა ადამიანი, ვინც გაივლის, იტყვის: „რა ლამაზი ყვავილია!“

³ ითარგმნება როგორც „ორი სამყაროს“ ფესტივალი. ეს არის მუსიკის, ცეკვის, ხელოვნებისა და მეცნიერების ცნობილი სიმპოზიუმი, რომელიც დღემდე ტარდება სპოლეტოში.

⁴ *le mondine*-ს ორიგინალური სიმღერა სახელწოდებით „*Alla mattina appena alzata*“.

რიცხვი) უწოდებენ ჩრდილოეთ იტალიაში, კერძოდ, მდინარე პოს ხეობაში, ბრინჯის მარგვლაზე მომუშავე ქალს. ამ ქალებმა, რომლებიც ჯგუფურად მუშაობდნენ ღია ცის ქვეშ, დროთა განმავლობაში შექმნეს პოლიფონიური სიმღერის საკუთარი ტრადიცია. ამასთან პოლიფონიური სიმღერის გარემო გახდა მათი, როგორც ქალი-mondina-ს, საერთო გრძნობებისა და ისტორიების გამომხატველი (Savini, 2019).

Le mondine-ს რეპერტუარი ხასიათდება პროტესტისა და წინააღმდეგობის სულისკვეთებით, რომელიც ასახავს იმ რთულ დროში დასაქმებული, იტალიელი მშრომელი ქალების ურთიერთდამოკიდებულებას. ეს ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება შეფასდეს, როგორც იტალიურობის, ქალურობისა და პოლიტიკური დაუმორჩილებლობის შეხვედრის წერტილი, რომელიც ქმნის იდიოსინკრაზიულ სივრცეს, სადაც ურთიერთგადამკვეთი მამონდინურმა გამოცდილებამ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლიფონიური სიმღერების ხასიათის ფორმირებაში. სიმღერების ეს ფემინისტური, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი, აღიქმება, როგორც ვერბალურ, ისე მუსიკალურ დონეზე.

შინაარსის თვალსაზრისით, le mondine-ს სიმღერების ტექსტები გულწრფელად ასახავს მე-20 საუკუნის იტალიური საზოგადოების პოლიტიკურ და რევოლუციურ ხასიათს. ამ ქალებს ჰქონდათ განსაკუთრებით დამქანცველი სამუშაო პირობები. მათი სიმღერები გამოხატავდა პროტესტს არასათანადო მოპყრობაზე risaia⁵-ს სივრცეში, რაც ხშირად, ინტროსპექტრულად უკავშირდებოდა მათი, როგორც ქალების მდგომარეობას იტალიურ საზოგადოებაში. მჩაგვრელ საზოგადოებაში ცხოვრებით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ, რომელიც ქალებს მეორეხარისხოვან მოქალაქეებად მიიჩნევდა, იმ პერიოდის რევოლუციურ, ფართო ანტიფაშისტურ მოძრაობასთან ერთად, შექმნა არამატერიალური კერა, რომელშიც le mondine-ს პოლიფონიურმა სიმღერამ, იმედგაცრუება ოსტატურად ჩააქსოვა ფემინისტურ-სოციალისტური პოლიტიკური აჯანყების ქსოვილში.

Noi vogliamo l'eguaglianza, siam chiamate malfattori
 E noi siam lavoratori, che padroni non vogliam
 E noi donne sventoliamo le bandiere insanguinate
 E faremo le barricate per la vera libertà
 Ancor benché siamo donne, noi paura non abbiamo
 Per l'amor de' nostre figlie, noi in lega ci mettiamo
 E giù la schiavitù, vogliam la libertà!
 Siam lavoratori, vogliam la libertà!⁶

პოლიტიკურ-ფემინისტური აზრის ამგვარი დემონსტრირება სიმღერების მუსიკალურ ხასიათზეც აისახა. მაგალითად, le mondine-ს ხმის ტემბრს, სიმაღლესა და რეგისტრს, შრომატევადი სამუშაოს თანხლებ, მყარ ჰარმონიებთან ერთად, გადაყვავრთ მუსიკალურ განზომილებაში, სადაც ამ ქალების ცხოვრებისეული სირთულეები, ისტორიები და პოლიტიკური სენტიმენტები გამოხატულია მათი ხმების ხასიათით, რომლებიც ჰარმონიულად უღერს კონკრეტული შესრულების კონტექსტში.

იტალიური ხალხური კულტურის ფენომენი, რომელიც თავისუფლებას აძლევს ქალების თავდაჯერებულობისა და კათარზისის გენდერულ გამოხატულებას,

⁵ ჩრდილოეთ იტალიაში, პოს რეგიონისთვის ტიპური ბრინჯის ყანები

⁶ თარგმანი: „ჩვენ გვსურს თანასწორობა, ბოროტმოქმედებს გვიწოდებენ, ჩვენ კი მშრომელები ვართ, რომელთაც არ უნდათ უფროსები. ჩვენ ქალები ვართ, რომლებიც სისხლიან დროშებს ვაფრიალებთ. ჩვენ აღვმართავთ ბარიკადებს სიმაართლის მოსაპოვებლად. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ვართ, არაფრის გვეშინია, ჩვენი ქალიშვილების გამო, ლიგაში შევალთ. ძირს მონობა, ჩვენ თავისუფლება გვსურს! ჩვენ მშრომელები ვართ და თავისუფლება გვსურს!“

არ შემოიფარგლება მხოლოდ le mondine-ს სივრცით. მაგალითად, ამ სტატიაში მოგვიანებით ჩვენ გავაანალიზებთ სალენტოს პოლიფონიის მაგალითს. სალენტოს რეგიონი ასევე არის ხალხური გენდერული ტრადიციის სამშობლო (Daboo, 2010; De Martino, 2013). მართალია, ამაზე მსჯელობა ნაშრომის ფარგლებს სცდება, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ფემინისტური თვითგამოხატვის ფორმები, შეიძლება, შეგვხვდეს წარსულის სხვა იტალიურ კულტურულ სივრცეებშიც.

ინტერსექციურობიდან წარმოშობილი პროტესტის ამ სულისკვეთებისთვის მიმართულების მიცემით, Nuovo Canzoniere-მ ხელი შეუწყო le mondine-ს სულიერ განვითარებას, გააძლიერა რა მათი რეპერტუარი ახალი საშემსრულებლო კონტექსტით. ამ სოციალურ-პოლიტიკურ ჩარჩოებში, წინააღმდეგობის სიმღერების სფერო გახდა იტალიური ხალხური სიმღერის გადაცემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება და ამასთანავე, იტალიური პოლიფონიის „პროფესიონალური“ ეთნომუსიკოლოგიური შესრულების ყველაზე ადრეული გამოვლინება.

„Bella Ciao“-ს, როგორც le mondine-ს სიმღერის პარტიზანული ვარიანტის შესრულებით, Nuovo Canzoniere-მ სოციალურად ინკლუზიური სიმღერის მეშვეობით, წარმოაჩინა le mondine-ს სიმღერების წინააღმდეგობის სულისკვეთება, რომელიც ასევე გამოხატავდა პროტესტს ომის წინააღმდეგ (Savini, 2019). Le mondine-ს სიმღერამ, ფაქტობრივად, შექმნა უთანხმოების ატმოსფერო ქალებსა და პოლიტიკურ სტრუქტურებს შორის მე-20 საუკუნეში, რაც მაშინ ანტისაომარი აზროვნებას კვებავდა. ამგვარად, მომღერალთა ჯგუფების მრავალხმიანი სიმღერის კოლექტიური აქტი, როგორც სოციალური აჯანყების გამოვლინება, მონდინური კონტექსტიდან გადაიზარდა უფრო ფართო, პოლიტიკურ-მუსიკალურ გარემოში, სადაც მთავარი პროტაგონისტი ანტისაომარი განწყობა იყო.

„როცა დავბრუნდები, ყვავილს მოგიტან“:

სალენტოს რეგიონის ეთნოგრაფიული ნიმუშის კვლევა

ნაშრომში განვიხილეთ იტალიურ ეთნომუსიკოლოგიაში ანტისაომარი განწყობის ატმოსფერო, ძირითადად, წინააღმდეგობის სიმღერების ფორმირების თვალსაზრისით, თუმცა, მნიშვნელოვანია ამ განწყობის გაანალიზება იტალიური კულტურის სხვა პოლიფონიურ სივრცეებშიც. ამიტომ, მსურს, ეს კონცეფცია შევავაროო ჩემს საკუთარ ეთნოგრაფიულ გამოცდილებასთან სალენტოს რეგიონში.

სალენტო – არის ადგილობრივი სახელწოდება სალენტის ნახევარკუნძულისა. ესაა იტალიის „ჩექმის“ ქუსლი, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული რეგიონული კულტურით, თავისი ენით, სამზარეულოთი, ისტორიითა და ადათ-წესებით. სალენტოს რეგიონში კულტურული აქტივობა აღორძინდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში (Tomatis, 2020), რაც, ძირითადად, განაპირობა სალენტელების განახლებულმა ინტერესმა ცეკვა pizzica-სა და მკურნალობის რიტუალის მიმართ⁷. ამაზე გამოაცოცხლა ხალხური აღორძინების მოძრაობა, რომლის დროსაც სალენტელებმა გააცოცხლეს მივიწყებული ადგილობრივი ტრადიციები (Morello, 2018; Santoro, 2019; Daboo, 2010). სალენტოს პოლიფონიურმა სიმღერამ, მიუხედავად მისი პერიფერიული ადგილისა, ასევე განიცადა აღორძინება და სრულდება ახალ საშემსრულებლო კონტექსტებში. შესრულების ეს ახალი გარემო ზოგჯერ მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული გარემოსგან, რომელშიც წარსულში სრულდებოდა სალენტური პოლიფონიური მუსიკა – ფენომენი, რომელიც კვლავ მხიბლავს და სტიმულს მაძლევს, გავაგრძელო ჩემი

⁷ Pizzica – ხალხური ცეკვა, რომელიც დაკავშირებულია ექსტაზისა და ტრანსის საშუალებით განკურნების რიტუალთან.

ეთნოგრაფიული მუშაობა სალენტოში.⁸

მიუხედავად იმისა, რომ სალენტოს რეგიონში პოლიფონიის განახლებული შესრულების პრაქტიკის ზოგადი ფენომენი დიდი თემაა და ამ მოხსენების ფარგლებს სცილდება, მსჯელობა იტალიურ პოლიფონიაზე ამ მოხსენების თემატიკის ქრილში, მაიძულებს დავფიქრდე სიმღერებზე, მათ ისტორიებსა და პოლიფონიური შესრულების შემთხვევებზე სავლელ მუშაობის დროს. კერძოდ, მახსენდება ომის ამსახველი რამდენიმე სიმღერა ანტისაომარი თემატიკით; მე მათ არ ვაკავშირებდი Nuovo Canzoniere-ს რეპერტუართან, სანამ დაწვრილებით არ გავაანალიზე ამ თემატიკის ნიმუშები წარმოდგენილი მოხსენებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სალენტოში ეს თემა არ არის ისე მკაფიოდ გამოხატული და წარმოდგენილი, როგორც le mondine-ს რეპერტუარში, შესაძლებელია, მაინც მივაკვლიოთ პოლიტიკურ თემებსა და ანტისაომარ განწყობებს სალენტოს წარმოადგენილი სიმღერებში, სადაც ასახულია მისი წარსულის ამბები (Muci, 2018).

ამ ანალიზისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დისკურსი არის ენა. ამ სფეროში მუშაობისას, ვერ ვიგებდი განსხვავებას სალენტურ და იტალიურ სიმღერებს შორის, რადგან სალენტოელები ძირითადად ორენოვანი ხალხია და არასდროს მომსვლია აზრად, რომ ლინგვისტური დიქტომია ტრადიციის ფარგლებში, შესაძლოა გამოვლინდეს მუსიკალურ სუბდიალექტებში.

საინტერესოა, რომ სალენტო სამშობლოა არამარტო სალენტური პოლიფონიისა, არამედ ისეთი მრავალხმიანი სიმღერებისაც, რომლებიც აქ რეგიონთაშორისი გადაადგილებებისა და მიგრაციების შედეგად მოხვდნენ და ხმოვანების, ფაქტურის, ვოკალური სტილისა და ჰარმონიის „სალენტიზაცია“ განიცადეს⁹. ამას ადასტურებს ზემოხსენებული, ლინგვისტური დიქტომია სალენტოს პოლიფონიაში, სადაც ადგილობრივი წარმოშობის სიმღერები სალენტურ დიალექტზე სრულდება, შემოსულები კი – სტანდარტულ იტალიურზე. სალენტოს მოსახლეობის ორენოვნება ასახავს ეროვნული კულტურისა და იდენტობის ბინარულობას. ამგვარად, ისინი ინარჩუნებენ ეროვნულ იდენტობას კულტურასთან ერთად, ამასთან, ორივეს აქვს იდენტობის საკუთარი მარკერები (ამ შემთხვევაში, ეს მარკერები ლინგვისტურია – ტრადიციულ სიმღერაში სალენტური ენა სალენტურობის მარკერად გვევლინება, იტალიური ენა კი – იტალიურობისა). მართალია, ეს საკითხი მომავალ კვლევას საჭიროებს, მაგრამ ჩემი ეთნოგრაფიული ნაშრომის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ სიმღერები, რომლებიც სალენტოს ზემოაღნიშნულ თემებს ასახავს, ხშირად სტანდარტულ იტალიურ ენაზეა დაწერილი, რაც მათ არასალენტურ წარმომავლობას ცხადყოფს.

ისტორიული მიგრაციისა და წარმომავლობის ეს რეტროსპექტული ანალიზი, ფილოსოფიურ განზომილებას მოითხოვს: გამოდის, რომ ანტისაომარი განწყობის არსებობა სალენტოს რეპერტუარში, აშკარად თვითრეფერენციულია, ვინაიდან არასალენტური წარმოშობის სალენტური პოლიფონიური სიმღერების არსებობა, მათი ისტორიული რეგიონთაშორისი მიგრაციის შედეგია, რაც განაპირობა მოსახლეობის შიდასაომარმა გადაადგილებამ და ომის შემდგომმა ეკონომიკურმა კოლაფსმა.

კონკრეტულად, მახსენდება ერთი სიმღერა¹, რომელიც არაერთხელ მომისმენია

⁸ ამაზე უფრო დეტალურად 2018, 2018 და 2020 წლებში ამ სიმპოზიუმზე წარმოდგენილ ნაშრომებში ვისაუბრე.

⁹ ამ ფაქტურას აქვს მიდრეკილება მსგავსი მოძრაობის კენ ხმების დამოუკიდებელი ორნამენტაციით მკაცრი პარალელური მოძრაობის სანინაალმდეგოდ (Morello, 2018).

¹ „Quando ritorno, ti porto un fiore“ („როცა დავბრუნდები, ყვავილს მოგიტან“). შეკრებილია ავტორის მიერ ნარდოში, 2016 წლის ნოემბერში.

საზოგადოებრივ შეკრებებზე სადღევრძელოს სახით. საინტერესოა, რომ შემდგომი კვლევა ცხადყოფს ამ სიმღერის მიკუთვნებულობას სალენტოს პოლიფონიასთან. მას არასალენტური წარმომავლობა აქვს, თუმცა ფაქტურა და პოლიფონიური სტრუქტურა „სალენტიზირებულია“ და სრულდება სტანდარტულ, იტალიურ ენაზე (შიგადაშიგ, სალენტური სიტყვებით). ამ სიმღერის, ჩემ მიერ მოძიებული ვარიანტების სიტყვებსა და მელოდისა, მიაკუთვნებენ პოს რეგიონს – le mondine-ს ტრადიციის სამშობლოს:

Quando ritorno, ti porto un fiore, viva l'amore, ci la sape fa
Quando ritorno dall'Albania, o beddha mia, ti sposerò
Quando ritorno, ti troverò zitella, baciami mia bella, ti sposerò
Quando ritorno, ti troverò sposata, prendo la spada e mi ammazzo il cuor
E tu, non piangere, amorosa mia, se vado via – ritornerò¹¹

ყველაზე საინტერესო ამ სიმღერასთან დაკავშირებით არის ის, რომ სადღევრძელოს კონტექსტში ომის თემა, მისი ისტორიებითა და სიუჟეტებით, სრულიად მეორეხარისხოვანი იყო. იმ დროს არ გამიცნობიერებია, რომ გარდა თავისი არასალენტური წარმოშობისა, ეს სიმღერა ჩრდილოეთ იტალიის სიმღერების სპეციალური რეპერტუარის ნაწილი იყო, განკუთვნილი სამხედრო სამსახურში გამოძახებული ჯარისკაცებისთვის, რომლებიც მათ ახლობლებთან გამოსამშვიდობებლად ასრულებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფართო შედარებითი ანალიზის ჩასატარებლად უფრო ღრმა ცოდნაა საჭირო, დაბეჭითებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ კონკრეტულ სიმღერაში შენარჩუნებულია ანტისაომარი განწყობა, შერწყმული იმედთან, იუმორთან და რომანტიკასთან. ამ პოზიტიური ატრიბუტების წყალობით, რომლებიც ხშირად ახასიათებდა სალენტოს სიმღერების შინაარსს (Mucci, 2008), აღნიშნული ნიმუში მოგვიანებით გარდაიქმნა სალენტოს საზოგადოებრივი შეკრებების თანმხლებ, ერთიანობისა და სიხარულის გამომხატველ სადღევრძელო-სიმღერად.

შეიძლება არგუმენტების მოტანა იმის დასამტკიცებლად, რომ ამ სიმღერის არსებობა თვითრეფერენციული ფენომენია, რომელშიც მღერის აქტი მართლაც ადასტურებს წვევამდელი ჯარისკაცების სიმღერებით შექმნილ, სასურველი მომავლის რწმენას, რომელიც დაიბადა ანტისაომარი განწყობიდან და რამაც ეს სიმღერები დღემდე მოიტანა.

სალენტოს რეგიონში სიმღერის არსებობა არის რეგიონის ხალხებს შორის ინტერკულტურული გაცვლის შედეგი ომის შემდგომ იტალიაში შიდა მიგრაციის შემდეგ და ამავე დროს, სიმღერა თავისთავად პასუხობს წარსულის ამ საომარ პერიოდს დაუმორჩილებლობითა და ოპტიმიზმით. მართლაც, სოციალური გარემო, რომელშიც მე მოვისმინე ეს სიმღერა თავად არის მეტა-მინიშნება მის ისტორიაზე – ომის შემდგომი მშვიდობის აღსანიშნავ დღესასწაულზე ახლობლებთან ერთად.

დასკვნა

სტატიაში განვიხილე იდეა იმის შესახებ, რომ ანტისაომარმა განწყობამ მოახდინა წინააღმდეგობისა და პროტესტის სივრცის კოლექტიური შექმნა, პოლიფონიური სიმღერის მეშვეობით. მრავალხმიანობა, როგორც მრავალი ხმის ერთობლივი ჟღერადობა, შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ერთიანობის გამოხატვის

¹ თარგმანი: როცა დავბრუნდები, ყვავილს მოგიტან, გაუმარჯოს სიყვარულს, ვინ იცის, როგორ მოვახერხო ეს? როცა აღბანეთიდან დავბრუნდები, ჩემო მშვენიერო, შენზე დავქორწინდები. როცა დავბრუნდები და შენ გაუთხოვარ ქალიშვილად დამხვდები, ო, მაკოცე, ჩემო მშვენიერო, მე შენზე დავქორწინდები. როცა დავბრუნდები და შენ გათხოვილი დამხვდები, ავიღებ მახვილს და გულში ჩავცივებ. არ იტირო, ჩემი საყვარელო, თუ წავალ, დავბრუნდები კიდევ!

ძლიერი ინსტრუმენტი, სწორედ მისი კოლექტიურობის გამო. ეს კონცეფცია, პირველ რიგში, იტალიურ ისტორიულ კონტექსტში იქნა შესწავლილი, იტალიის ხალხური აღორძინების ფესვების გამოკვლევით დაწყებული, იტალიური ხალხური სიმღერის ომის შემდგომი პოლიტიზაციით დამთავრებული, რაც გამოიწვია Il Nuovo Canzoniere Italiano-ს შექმნამ და მის მიერ პოლიტიზებული რეპერტუარის შესწავლამ და პრეზენტაციამ (Bermani 1997; Fanelli, 2015). კერძოდ, ამ ფენომენის ავტარი გახდა სიმღერა „Bella Ciao“, რომელიც თავად იყო პარტიზანული ვერსია სიმღერისა le mondine-ს რეპერტუარიდან. ეს მნიშვნელოვანი საკითხია ანალიზისთვის, რადგან le mondine-ს რეპერტუარმა შექმნა ქალ-mondina-ს პროტესტის არამატერიალური ატმოსფერო, ფემინისტურ-სოციალისტური ღირებულებებით შთაგონებული ტექსტით და კოლექტიური შესრულებით. ქალთა საკითხების მჭიდრო კავშირმა მშრომელთა აჯანყებასთან შექმნა უნიკალური გარემო, რომელშიც რევოლუციის სულისკვეთებამ შეძლო კულტივირება და იტალიური პოლიფონიის ისეთი ფორმაციების წარმოქმნა, როგორცაა Nuovo Canzoniere.

სიმღერების ტექსტები ანტისაომარი მოწოდების მნიშვნელოვანი ელემენტია. სწორედ ამიტომ, ამ სტატიაში, ძირითადად, განხორციელდა ტექსტების შინაარსის და არა სიმღერების მუსიკოლოგიური ანალიზი. ენის დისკურსი ძლიერდება სალენტური პოლიფონიური სიმღერის შემთხვევაში, რომლის რეპერტუარში წარმოდგენილი ორი ენა ცხადყოფს სალენტოელთა ბილინგუალიზმსა და ბიკულტურალიზმს: სიმღერები სალენტურ ენაზე ასახავს ადგილობრივ თემატიკასა და ფოლკლორს, ხოლო სიმღერები იტალიურ ენაზე – ეროვნულ თემებს, რომლებიც ხშირად უახლოვდება ჩრდილოეთ იტალიის რეპერტუარს. ამ თემის კვლევა ტრადიციის ჩამოყალიბების სხვა ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზეც გვაფიქრებს, როგორცაა იტალიელების ომის შემდგომი მიგრაცია და რევოლუციური სიმღერების გადატანა სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში (როგორცაა სადღეგრძელოები და სახალხო დღესასწაულები). ამან შექმნა მეტა-რეფერენციული პარადიგმა, რომელშიც სიმღერის შესრულება ომის შემდგომ, მშვიდობიან სოციალურ გარემოში, ადასტურებს იმედსა და შეუპოვრობას, რომელიც ამ სიმღერებში იყო ჩადებული წარსული ომის დროს იტალიაში.

იტალიური პოლიფონიის ეს ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ მრავალხმიანი სიმღერის პროცესი შეიძლება იყოს მჩაგვრელის წინააღმდეგ სოციალური აჯანყების საიმედო საშუალება და, შესაბამისად, შეუძლია შექმნას და გაავრცელოს ძლიერი ანტისაომარი განწყობა. პოლიფონიური სიმღერა, როგორც მრავალხმიანი ფენომენი, რომელიც მოითხოვს ერთიანობას და კოლექტიურობას, შეიძლება იყოს ომის ბოროტებასთან ბრძოლის საერთო ღირებულებების გადმოცემის საშუალება. Le mondine-ს სულისკვეთების დაკავშირებით წინააღმდეგობის მუსიკალურ კულტურასთან, რაც ადრეული იტალიური ეთნომუსიკოლოგიის ყურადღების მნიშვნელოვანი საგანი იყო, შეიძლება შეიქმნას ანტისაომარი ატმოსფერო – კოლექტიურად, ჯგუფური სიმღერის, შთამბეჭდავი ტექსტისა და ხალხური ხმის რეზონანსის შერწყმით. ამრიგად, მომღერლების ინკლუზიურმა კოლექტივმა, რომელიც ეწინააღმდეგება მჩაგვრელებს, შეიძლება გამოსცეს ერთიანი ანტისაომარი ხმა.

თარგმნა მაკა ხარძიანმა